ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3415647

ნომერი: AR1523101

თარიღი : 14.07.2017

გაცემის თარიღი : 21.07.2017

გაცნობის თარიღი : 21.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ალაშვილი პ/ნ 01017033524
- ქ.თბილისი ჭონქაძის 10ა ბ4

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1523101 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ეწინააღმდეგებით ქ.თბილისში, #01.72.14.033.774 საკადასტრო ერთეულზე კორექტორებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 6 ივლისს #AR1520501 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ზაზა ღულაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში, სოფელი დიღომი, #01.72.14.033.774 საკადასტრო ერთეულზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3391372 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2017 წლის 11 ივლისს #AR1522163 ელექტრონული განცხადებით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ზაზა ღულაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში, სოფელი დიღომი, #01.72.14.033.774 საკადასტრო ერთეულზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
